საიდ. №71960/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №48-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ჯეოსელი”-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. №48-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციზე უარის თქმის შესახებ №227/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „GEOCREDIT ჯეოკრედიტი” (საიდ. №71960/03) დარეგისტრირება საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-16, 36-ე და 38-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 დეკემბრის №1853/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „GEOCREDIT ჯეოკრედიტი“ არ ექვემდებარება რეგისტრაციას „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვინაიდან, ის შედგება მხოლოდ ისეთი სიტყვიერი ჩანაწერისაგან, რომელიც მიუთითებს მომსახურების გეოგრაფიულ მახაიათებელსა და მომსახურების ტიპზე, საქართველოში ფინანსებთან დაკავშრებულ საქმიანობაზე. შესაბამისად, „GEOCREDIT ჯეოკრედიტი“ აღწერილობითია 36-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლისათვის. წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი აბრივიატურა წარმოადგენს საქართველოს შემოკლებულ დასახელბას, რაც რეგულირებულია საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) 2003 წლის 14 ნოემბერი 342 ბრძანებით „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 003-2003 (ისო 3166 – 3 : 1999) “მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორი” დამტკიცების შესახებ". აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული კლასალიფიკატორის 2.1 ნაწილში მოცემულია ქვეყნების დასახელებათა ჩამონათვალი, სადაც საქართველოს შემოკლებულ დასახელებად მოცემულია აბრივიატურები GE (ალფა კოდი 2) და GEO (ალფა კოდი 3). რაც შეეხება სიტყვიერ ელემენტს „კრედიტი“ იგი ქართველი თუ სხვა ეროვნების მომხმარებელში იწვევს ასოციაციას ფულად-საკრედიტო ოპერაციებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შემყვანია მე-16 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების მიმართ, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი შპს „ჯეოსელი” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, 2013 წლის 19 აპრილს, შპს “ჯეოსელმა” შეიტანა განაცხადი „GEOCREDIT ჯეოკრედიტის” (ს/კ 71960/03) სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ, რომელზეც კომპანიას უარი ეთქვა 2013 წლის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის

„საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის, №1853/03 ბრძანებით. „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად. აღსანიშნავია, რომ „GEOCREDIT ჯეოკრედიტი“ წარმოადგენს შპს ჯეოსელის ერთ-ერთ მომსახურებას, რომელიც მომხმარებლისათვის ამ სახელწოდებით ცნობილია 2007 წლიდან. აბრევიატურა „GEO“ ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა საქართველოს დასახელებას, არამედ კომპანია ჯეოსელის სახელწოდების შემოკლებულ ვერსიას. იმ შემთხვევაშიც, თუ აბრევიატურა GEO მიიჩნევა, როგორც საქართველოს შემოკლებული სახელწოდება, ნიშანი მაინც ექვემდებარება რეგისტრაციას, რადგან „GEOCREDIT ჯეოკრედიტი” ნაწარმოებია ორი სიტყვის შერწყმის შედეგად და სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისთვის წარმოდგენილია ერთ სიტყვად, შესაბამისად დაუშვებელია მისი დანაწევრება და ცალ-ცალკე განხილვა. აპელანტის პოზიციით, თუ მოხდება ექსპერტის არგუმენტის გათვალისწინება იმის შესახებ, რომ დასარეგისტრირებელი სასაქონლო ნიშანი შედგება საქართველოს შემოკლებული სახელწოდებით GEO, ხოლო კრედიტი მიუთითებს მომსახურების ტიპს და შესაბამისად „GEOCREDITI ჯეოკრედიტი” აღწერილობითია 36-ე კლასის მომსახურებისთვის და დაუშვებელია მისი რეგისტრაცია, მაშინ გაუგებარია რა საფუძვლით არის საქპატენტის ოფიციალურ ბაზაში დარეგისტრირებული შემდეგი სასაქონლო ნიშნები: ქართული კრედიტი GEORGIAN CREDIT, ჯეოფეი GEOPAY, First Georgian Golf Club, Coffe Georgia, Geo სპორტი, ჯეობილდერცემენტი აშენეთ გრანიტით GB შ.პ.ს მშენებელი 2004, JSC Georgian Beer Company, LTD GEO-ALCO შპს „გეო-ალკო“, ჯეომოლი Geomall jeomoli Geomall და სხვა. აპელანტის განმარტებით, იგი ასევე არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას, რომ სიტყვა კრედიტი შეცდომაში შემყვანია მე-16 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების მიმართ, რადგან

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ნიცის კლასიფიკაცია) მიხედვით, მე-16 კლასს წარმოადგენს: ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ნაბეჭდი პროდუქცია; მასალა საამკინძაო სამუშაოებისათვის; ფოტოსურათები; საწერ-ქაღალდის საქონელი; საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები; მხატვართა საკუთნო; ფუნჯები; საბეჭდი მანქანები და ოფისის საკუთნო (ავეჯის გარდა); სასწავლო მასალა და თვალსაჩინოება (აპარატურის გარდა); პლასტმასის შესაფუთი მასალა (რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს); შრიფტი; ტიპოგრაფიული კლიშე, ხოლო 38-ე კლასს - კავშირგაბმულობა, შესაბამისად სიტყვა „კრედიტი“ ვერ ჩაითვლება შეცდომაში შემყვანად მე-16 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების მიმართ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს საქართველოს კანონით სასაქონლო ნიშნების შესახებ მე-4 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, რის საფუძველზეც შეიძლება უარი ეთქვას კომპანია „ჯეოსელს“ „GEOCREDIT ჯეოკრედიტი”-ის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციზე უარის თქმის შესახებ №227/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „GEOCREDIT ჯეოკრედიტი” (საიდ. №71960/03) დარეგისტრირებას საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად”.

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას ნიშნის აღწერილობითობასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „GEOCREDIT ჯეოკრედიტი" (საიდ. №71960/03) წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 36-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ, რადგან განცხადებული ნიშანი შეიცავს სიტყვას „CREDIT", რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „სესხი", „კრედიტი" და მიანიშნებს მომხმარებელს შეთავაზებული მომსახურების ხასიათზე და სახეზე, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირება მოითხოვება 36-ე კლასის ისეთი მომსახურების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ფულად-საკრედიტო ოპერაციებთან. კოლეგიას ასევე მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომაში შემყვანად მე-16 კლასის საქონლისა და 38-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მე-16 კლასის საქონლისა და 38-ე კლასის მომსახურების მიმართ წარმოადგენს ფანტაზიურ ნიშანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნაწილობრივ, 36-ე კლასის განცხადებული მომსახურების ნაწილში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ სასაქონლო ნიშნისათვის „GEOCREDIT ჯეოკრედიტი" (საიდ. №71960/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ჯეოსელი"-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული

აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 დეკემბრის №1853/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „GEOCREDIT ჯეოკრედიტი" (საიდ. №71960/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-16 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის.

3. სასაქონლო ნიშანი „GEOCREDIT ჯეოკრედიტი" (საიდ. №71960/03) დარეგისტრირდეს მე-16 და 38-ე კლასის საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ე.

წევრები: დ. ჭიჭინაძე

ლ. ახობაძე